ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 155
ივლისის 24, ორშაბათი, 1902 წ.
1877

ივერია

№ 155
ივლისის 24, ორშაბათი, 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2 664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, სიბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩააბაროს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, საცა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნაოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

საქონლის გადასაზიდად იქ, საცა პირდაპირ მიდის მატარებელი, კომპანიის ნაოსნობას მორიგება აქვს დადებული რკინის გზებთან იმ საქონლის შესახებ, რომელიც რუსეთიდგან იგზავნება სპარსეთს ან სპარსეთიდგან რუსეთს. კომპანიას ცალკე, განსაკუთრებულ უპირატესობაზედ დამყარებული ხელ-შეკრულობა აქვს დადებული სპარსეთის საზღვაო და სატრანსპორტო საზოგადოებასთან.

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და მდინარით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა, ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის „**ნადეჟდას**“-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სახლო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზე, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.

(120—ნ.—5)

განცხადება

პირველ სექტემბრიდგან ამა წლისა წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში მიიღებიან ჯან-მრთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად, ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვრიშვილს, წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდგან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული აღმოწერილობა წლოვანების წიგნიდგან, და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში არ იქნება, მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენ განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურსს შეადგენს: 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოებისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლის და აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება, მეფუტკრობა და სასოფლო-მეურნეობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკკლესიო და საერო გალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა და წიგნების კაზმისა.

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დაჰხუროს.

შორის მხრიდგან მოყვანილ ყმაწვილებისთვის სოფ. წინამძღვრიანთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისათვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის პედაგოგიური კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია თვეში შვიდი მანეთი. ყმაწვილს დილა-საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით, შუადღისას საუზმე და სწავლის შემდეგ სადილი, თითო კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხვო. კვირაში ერთხელ საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც ჰსურს მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს: მთელი წლის შესანახი ფული 84 მ. პირველ სექტემბერს.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს რკინის საწოლი, ქვეშაგები, სამი ხელი საცვალი და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანსაცმელი. ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო. ვინც სადგურიდგან ყმაწვილს ერთი წლის შესრულებამდე ადრე გაიყვანს, იმისგნით შემოტანილი ფული დარჩება სადგურის სასარგებლოდ.

ვსთხოვ სხვა გაზეთებსაც, გადაჰბეჭდონ ეს განცხადება.

(5—მ.—2)

ფინანსთა სამინისტროს გამგებლობაში მყოფი

საბუხგალტერო კურსები

ნ. ვ. აბრაამიანისა

(იხილე მე-4 გვერდზედ) (25—379—6)

ქუთაისში ბ. ნ. წერეთლის წიგნის მაღაზიაში

(საკრებულო ტაძრის პირდაპირ)

დღეიდგან ისყიდება ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის **აბრეშუმის ქსოვილები ფას-დაკლებით** $25^0/_0$-ამდე (**ცხვირ-სახოცები, ყელსახვევები (შარფები) ქალთა და კაცთა საცვანისამოსე დარაიები, ფერადი, თეთრი და სხვა**).

მივაქცევთ საზოგადოების ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ამხანაგობის ქსოვილები ბევრად უკეთესია ქარხნის ნაწარმოებზედ თავის გამძლეობით (სიმტკიცით), ვინაიდგან:

1, ამხანაგობის ქსოვილები არის დამზადებული ნამდვილ აბრეშუმის ძაფისაგან.

2, ძაფი არის ხელით ნაკეთები და სხვილი.

ზემო აღნიშნული ღირსებები ამხანაგობის ქსოვილებისა არიან მიზეზი მისი სიძვირისა; ახლა, როდესაც ამხანაგობა ერთად-ერთ ნაკლს თავის ქსოვილებისას,—სიძვირეს—სპობს **ფასის დაკლებით**, ვიმედოვნებთ, პატივცემული საზოგადოება დაეშურება ამხანაგობის ქსოვილების ყიდვას.

ამხანაგობის გამგეობის) თავმჯდომარე პ. მდივანი
) წევრი ვ. კიწმარიშვილი

ამხანაგობის გამგე **ნ. წერეთელი**

გიორგი წერეთლის

დიდი სურათი

იყიდება :ტფილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და ქუთაისში—ლაღიძესთან. ფასი 20 კაპეიკი.

(6—ნ.—6)

ყოვლად-სამღვდელო დიმიტრის, ალავერდის ეპისკოპოსის, განკარგულებისამებრ

საეკკლესიო მუზეუმი ქართველ სამღვდელოებისა

ღია

სამშაბათ-ხუთშაბათობით 9—11 ს.

და კვირაობით 10—1 ს.

ვისაც ჰსურს მუზეუმის დათვალიერება სხვა დღეს, კეთილ ინებონ მიჰმართონ მისს გამგეს მ. გ. ჯანაშვილს (კუკია, მინკვიცევის ქ., № 27).

(10—388—4)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდის და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

გორში

ექიმი კ. ლ. ტურიაშვილი

იღებს ავადმყოფებს საკუთარს სახლში, ფრანგების ეკკლესიის ახლო.

ქართველ ქალთა

ამხანაგობა

სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (**МѢТКИ**). ბარონის ქუჩა. № 12

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა,

საღამოობით:

კ. ი. ბძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон.

(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა, და ბავშვებისა სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათზე. კვირაობით 9—10 საათზე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

გრ. ვ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი: ყურისა, ყელისა და ცხვირის, 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდის.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა, (წ.)

მთავრობის განკარგულებანი

სამუშაო არტელების წესდება

(უმაღლესად დამტკიცებული 1 ივნისს 1902 წ.)

(დასასრული *)

15. საზოგადო კრება კანონიერად ჩაითვლება, თუ დამსწრე წევრნი, პირადად და მონდობილობით (მუხლი 14), არტელის წევრთა რიცხვის ნახევარს მაინც შეადგენენ; ასეთს კრებაზედ საქმეები ხმების უბრალო უმეტესობით გადაწყდება. არტელის წევრთა ორის მესამედის დასწრება, პირადად და მონდობილობით, საჭიროა შემდეგის საქმეების გადასაწყვეტად: ცვლილება ან დამატება წესდებისა, წევრის გამორიცხვა არტელიდგან, არტელის მოხელეების გადაყენება მათის სამსახურის ვადის შესრულებამდე, ვალის აღება, არტელის გაუქმება და მისის საქმეების ლიკვიდაცია. ამ საქმეების შესახებ საზოგადო კრების დადგენილებას მხოლოდ მაშინ ექმნება სავალდებულო ძალა, თუ იგი მიღებულ იქმნა დამსწრე წევრთა ორის მესამედისაგან. შეიძლება წესდებაში წინადვე განსაზღვრული იყოს, ზემოხსენებულთა გარდა სხვა საქმეებიც, რომელთა გადასაწყვეტად აგრეთვე დამსწრე წევრთა ორის-მესამედის უმრავლესობაა საჭირო.

16. საწევრო გადასახადი შეიტანება როგორც ფულად, ისე არტელისათვის საჭირო ნივთებით.

17. საწევრო გადასახადი არტელის ყველა წევრთათვის ერთნაირი უნდა იყოს; ხოლო არტელის წევრთა შორის მოგების განაწილება უნდა მოხდეს საზოგადო კრების დადგენილებით, იმის კვალობაზე, თუ რამდენ მონაწილეობას იღებდა თვითეული წევრი თავის პირადის შრომით არტელის სამუშაოში.

18. არტელი მთელის თავის ქონებით პასუხის მგებელია ნაკისრ ვალდებულებაში. აგრეთვე პასუხს აგებს, თუ არტელის წევრმა თავისი მოვალეობა რიგიანად არ აასრულა და თუ არტელის წევრებმა ან მის დაქირავებულ კაცებმა ზარალი მიაყენა არტელს მის სამუშაოში. გადახდილი ფული არტელს შეუძლიან აზღვევინოს იმათ, ვისის წინდაუხედაობითა ან ბრალით იზარალა.

19. თუ არტელის ქონება არ ჰყოფნის იმ ფულის გადასახდელად, რომელიც არტელს ჰმართებს, მაშინ მისმა წევრებმა, ურთიერთის თავდებობით, პასუხი უნდა აგონ ყოველის თავიანთის პირადის ქონებით, უძრავითა და მოძრავით, ან უსაზღვროთ ან იმ ზომამდე, რომელიც აღნიშნულია არტელის წესდებაში (მუხლი მე-6, პუნქტი ე.)

20. ურთიერთის თავდებობით პასუხის მგებლობა არტელის წევრთა შორის თანასწორად განაწილდება, თუ წესდებაში არ არის ნაჩვენები საფუძველი შეთანხმებულის განაწილებისათვის. თუ ერთმა ან რამდენმამე წევრმა ვერ გადაიხადეს თავიანთი ხვედრი ფული, ეგ გადასახადი იმავე რიგით უნდა განაწილდეს არტელის დანარჩენ წევრთა შორის; და იმ წევრებს, რომელთაც სხვა წევრების მაგიერ ფული გაიღეს, უფლება აქვთ იმათ მოსთხოვონ.

21. არტელში შემოსული წევრი პასუხს აგებს იმ ვალდებულებაშიაც, რომელიც არტელმა მის შემოსვლამდე იკისრა.

22. არტელის ქონება და თანხა არ მოხმარდება თვითეულის წევრის კერძო ვალის გასტუმრებას.

23. თვითეულის წევრის კერძო ვალის გასტუმრება შეიძლება იმ ხვედრიდგან, რომელიც წევრსა აქვს არტელის მოგებაში, თუ ამასთანავე ასრულებული იქნება პირობა, მრეწველობის წესდების მე-100 მუხლით (კანონთა კრებული, ტ. მე-XI, ნაწ. 2, გამოც. 1893 წ.) დადგენილი, მუშათა ხელფასიდგან ვალის გასტუმრების შესახებ.

24. არტელის წევრს, რომელიც არ აასრულებს არტელის ნაკისრს ვალდებულებას, ან წესდებას, ან საზოგადო კრების დადგენილებას, ან სათაკილოდ მოიქცევა, ან მუშაობაში უგულობას გამოიჩენს, მიყენებულ ზარალისათვის პასუხის გების გარდა, შეიძლება წესდების მიერ დაწესებულის რიგით მიესაჯოს: გაკიცხვა, ჯარიმა და არტელიდგან გამორიცხვა დროებით, ან სამუდამოდ.

25. არტელიდგან გასულს ან გამორიცხულს წევრს, წესდების მიერ დანიშნულს ვადაზედ მიეცემა მისი ხვედრი ფული; ამ ფულიდგან გამოირიცხება, ჯეროვან შემთხვევაში, ის გადასახადი, რომელიც ამ წევრს აწევს და მისი წილი არტელის ზარალში. არტელიდგან გასული ან გამო-

---

*) იხილე „ივერია“ № 152

რიცხული წევრი ერთის წლის განმავლობაში, თუ წესდებაში უფრო გრძელი ვადა არ არის დანიშნული, პასუხს აგებს არტელის ვალდებულებაში, რომელიც არტელმა იკისრა ამ წევრის გასვლამდე.

26. არტელი უქმდება: 1, თუ დანიშნული ვადა მის არსებობისა გავიდა; 2, თუ ის სამუშაო, რომლისთვისაც არტელი დაარსებულია, გათავდა; 3, თუ არტელის წევრთა საზოგადო კრებამ დაადგინა გაუქმება და 4, გუბერნატორის ბრძანებით, როდესაც აღმოჩნდება, რომ არტელის მოქმედება თავის წესდებას არ ეთანხმება, ან არსებულს კანონებს ეწინააღმდეგება.

27. თუ არტელი გაუქმდა, მისი ქონება წევრთა შორის განაწილდება ან ისე მოიხმარება, როგორც წესდებაში იქნება მოხსენებული, ხოლო თუ წესდებაში ამის შესახებ მოხსენებული არა იქნება-რა, მაშინ საზოგადო კრებამ უნდა გადასწყვიტოს როგორ მოიხმაროს ქონება,

—

ებოძათ შტაბს-კაპიტნობა პორუჩიკებს: პირველ თურქესტნის მსროლელ ბატალიონისა კვინიხიძეს; მე-3 ბატალიონისა დიდებულიძეს და მე-4 ბატალიონისა მგელიას. ანნა მე-3 ხარისხისა კაპიტნებს: სალიანის პოლკისა ქურულს; მე-20 არტილერიის ბრიგადისა თავადს ს. მაქსიმელიშვილს; როტმისტრს მე-44 ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკისა მ. ღლონტს;

სტანისლავა მე-2 ხარისხისა: მე-5 კავკ. გრენად. არტილერიის ბრიგადის ბატარეის უფროსს ივ. მუსხელიშვილს და ტენგინის პოლკის უფროსს გიგო აბულაძეს. სტანისლავა მე-3 ხარისხისა კაპიტნებს: ტფილისის პოლკისა თავადს ეს. თარხან-მოურავს, ბაქოს პოლკისა ს. ქუთათელაძეს; შემახის პოლკისა თავადს ვას. წულუკიძეს; ლორის პოლკისა თავადს მელიქიშვილს; კავკ. გრენად. არტილ. ბრიგადისა თავადს კ. აბხაზს; შტაბს-კაპიტნებს: მეგრელის პოლკისა ალ. ჩხეიძეს; ბაქოს პოლკისა კ. ჩხეიძეს; კავკ. სამოლიციო დარაჯის ოფიცერს კ. გურგენიძეს; შტ.-როტმისტრებს: ტვერის დრაგ. პოლკისა თავადს ნ. ჭავჭავაძეს; სევერის დრაგ. პოლკისა თავადს ალ. აბაშიძეს; პორუჩიკებს: გორის პოლკისა მ. ქართველიშვილს და ბაშკადიკლარის ბატალიონისა კ. კაკაბაძეს;

ტფილისი, 24 ივლისი.

მთავრობამ ამ ბოლოს დროს დიდი ყურადღება მიაქცია წვრილ წარმოებას და ყოველ მხრივ სცდილობს ხელი შეუწყოს და კეთილ გზაზედ დააყენოს ეს სოფლელთა შორის გავრცელებული ცოდნისა და ხელობის გამოყენება. ვინც ამ ბოლოს დროს თვალი ადევნა მთავრობის ამა თუ იმ განკარგულებას, შეამჩნევდა, რომ მთავრობა ამ აზრით სცდილობს გაავრცელოს წვრილ-მწარმოებელთა შორის საკოოპერაციო ფორმა წარმოებისა, ვინაიდგან ეს ფორმა წარმოებისა უფრო საიმედოდ და სასარგებლოდ მიაჩნია.

ეჭვს გარეშეა, რომ მთავრობა არ სცდება და ნამდვილ სწორე გზას ადგია თავის წადილის ასასრულებლად, წვრილ-წვრილ წარმოება-ხელოსნობის გასაძლიერებლად. ვისაც საკმაოდ აქვს შეგნებული, რა განსხვავებაა სხვილ საფაბრიკო წარმოებასა და წვრილ წარმოებას შორის; ვისაც ესმის, რითი იგებს პირველი და რა მიზეზით აგებს მეორე—ის დაგვეთანხმება, რომ კოოპერაცია, როგორც შეერთება რამდენისამე გაფანტულ წვრილ მწარმოებელისა, ერთად-ერთი ხსნაა, წვრილ მწარმოებელისათვის, ერთად-ერთი ღონეა აიშოროს თავიდან ის დაბრკოლებანი, რომელიც წინ ეღობება კაპიტალისტურ წეს-წყობილების დროს.

ჩვენ აზრადა არა გვაქვს აქ დაწვრილებით ავხსნათ ის, თუ რამდენად და როგორ ჰშველის კოოპერაცია წვრილ მწარმოებელთ, რათა კონკურენცია გაუწიონ კაპიტალისტებს. ვიტყვით მხოლოდ, რომ არამც თუ ეკონომიურმა მეცნიერებამ, არამედ თვით ცხოვრებამ დაამტკიცა კოოპერაციის დიდი მნიშვნელობა წვრილ მწარმოებელთათვის და, თუმცა ეკონომიურ მეცნიერებისაგან წარმოების ამ ფორმის დამაარსებელად ცნობილია მეცნიერი-ეკონომისტი **შულჩე-დელიჩი**, მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ კოოპერაციული ფორმა წარმოებისა გაჩნდა თავის-თავად, როგორც ბუნებრივი სალსარი შეერთებულის ძალით და ცოდნით მრეწველობისა და წარმოების გაძლიერებისა.

ამიტომ ჩვენ დიდის სიხარულით ვეგებებით მთავრობისაგან 1-ს ივნისს დამტკიცებულს სამუშაო ამხანაგობათა (არტელების) წესდებას. რასაკვირველია, მთავრობის მიერ ამ წესდების დაკანონებას ის აზრი-კი არა აქვს პირდა-პირ, რომ ხსენებული ფორმა წარმოებისა დააწესოს და გაავრცელოს. ეს წესდებაც, როგორც საზოგადოდ ყოველი კანონი, აკანონებს არტელის წევრთა ერთმანეთთან დამოკიდებულებას, არტელის შინაგანს წესსა და რიგს. მიუხედავად ამისა, მთავრობის განკარგულებას აუცილებლად მოჰყვება შედეგათ კოოპერაციულ ფორმის გავრცელება ცხოვრებაში. დღევანდლამდე სხვა-და-სხვა მიზეზთა შორის, ნამეტნავად ის აფერხებდა არტელებისა და ამხანაგობათა დაარსებას, რომ არტელის დასაარსებლად და დასამტკიცებლად დიდი და დიდი ხანი იყო საჭირო. კანონს ისე ჰქონდა გაძნელებული ამხანაგობის დაარსება, რომ ბევრჯელ მომხდარა, ამხანაგებს ვერ მოუხერხებიათ თავიანთ წესდების დამტკიცება და ამის გამო ამხანაგობა არ შემდგარა. დიდი ფორმალიზმი და ცდილობა ამხანაგობის დაარსებისათვის კაცს მეტად უძნელებდა წარმოების ამ ფორმისათვის მიმართვას და ამიტომაც კოოპერაცია რუსეთში, საზოგადოდ, ან არ იყო გავრცელებული, ან მეტად გამოუკვლეველ გზაზე იყო დამდგარი.

ხსენებული კანონი მეტად აადვილებს არტელის დაარსებას. არტელის დასაარსებლად საჭიროა მხოლოდ გუბერნატორისაგან ნება-რთვის აღება და თუ წინად გუბერნატორის სურვილზე იყო დამოკიდებული, მისცემდა ნებას არტელის დაარსებისას, თუ არ მისცემდა, დღეს ამხანაგებს ეძლევათ ნება **„თუ გუბერნატორმა, რომელისამე დაბრკოლების გამო, არ დაამტკიცა წესდება, ერთის თვის განმავლობაში წესდების მიღების შემდეგ, წარუდგინოს იგი ფინანსთა მინისტრს, რომელიც გადაწყვეტს საქმეს საგნების სათანადო უწყებასთან შეთანხმებით“**. ამ კანონის ძალით შედარებით ძრიელ გაადვილდება არტელების დაარსება და არტელების რიცხვი მალე ერთი-ორად იმატებს.

ეს-კი უნდა ვსთქვათ მაინც, მთავრობას ჯერ-ჯერობით კიდევ ცოტა რამ დარჩენია იმისათვის, რომ ჩვენშიაც, როგორც სხვა სახელმწიფოებში, უფრო გააადვილოს ამ არტელების და საზოგადოდ საკომერციო და სამრეწველო ამხანაგობის დაარსება. საზღვარ-გარედ იმასაც-კი არავინ ითხოვს კოოპერაციის დასაარსებლად, რომ ამხანაგებმა ვისმე მოხელეს მიჰმართონ და ნებართვა აიღონ ამხანაგობის დასაარსებლად. საზღვარ-გარედ ამხანაგობის დასაარსებლად საჭიროა მხოლოდ გამოქვეყნება იმისა, რომ ამხანაგობა დაარსდა და ყველას უფლება აქვს თავის ნებით დააარსოს ყოველ-გვარი ამხანაგობა და ყოველგვარი კოოპერაცია.

ვისურვებთ, რომ ჩვენმა მთავრობამ ამ მხრივაც გააადვილოს არტელების დაარსების საქმე და მით დიდი შეღავათი მისცეს ჩვენს წვრილ მწარმოებლებს თავიანთ მდგომარეობის განსაკარგებლად. ასეთს ყოფაში წვრილნი მწარმოებელნი უფრო ადვილად გაუწევენ მეტოქეობას ესრედ-წოდებულს კაპიტალიზმსა, რომელიც ასე აფერხებს საზოგადო ცხოვრებას თითოეულთა გასაბედნიერებლად და უმრავლესობის დასამონებლად.

ტფილისი

✦ პეტერბურგიდამ გვაცნობებენ, რომ ამ დღეებში საფრანგეთის კაპიტალისტების საზოგადოება, რომელსაც კრება თვით პეტერბურგში ჰქონია, გადაუწყვეტია კახეთის რკინის გზის გაყვანა თავად-აზნაურობისაგან წარდგენილ გეგმით, ესე იგი ტფილისიდამ ყარაბულახსა, საგარეჯოსა და ჩალაუბანზედ თელავამდე. სიმბერგის პროექტი, რომლითაც კახეთის რკინის გზის გაყვანას თიანეთზე აპირებდნენ, სამინისტროში სამუდამოდ უარყოფილ იქმნა.

✦ ჩვენს მგოსანს და მოღვაწეს აკაკის დაუსრულებია კრილოვის ყველა იგავ-არაკების თარგმნა.

✦ გერმანულ გაზეთის „ალგემეინე ცეიტუნგის“ დამატებაში დაბეჭდილია გარჩევა ჩვენის ახალგაზდა მწერლის გოგიჩაიშვილის თხზულებისა—„საქართველოს შინა მრეწველობა“. ავტორი დიდის ქებით იხსენიებს ქართველ მწერლის თხზულებას.

✦ საეკკლესიო მუზეუმს მღვდელ-მონაზონმა გაბრიელმა (აბაშიძემ) შესწირა ძველი მახვილი (დაშნის მზგავსი), ნაპოვნი გარეჯის უდაბნოში.

იმავე მუზეუმმა მიიღო ხელნაწერი („თთვენი“) და დაბეჭდილი დაბადება, თითქმის თავით ბოლომდის ვიღაცის ხელით რუსულად და ქართულად ნაწერები. ეს წიგნები მუზეუმს გადასცა ბერძენთა წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიის წინამძღვარმა მ. კონტრიძემ.

✦ ქალთა ტფ. 1-ლ გიმნაზიაში წელს ვაკანსიები მხოლოდ უფროსს მოსამზადებელსა და საანბანო კლასებშია. ეგზამენი უფროსს მოსამზადებელში შესასვლელად დანიშნულია 28 აგვისტოს; საანბანო კლასში მიიღებიან 7 წლის ბავშნი, რომელთაც რუსული ლაპარაკი იციან.

✦ ამიერ-კავკასიის საოსტატო სემინარიაში წელს მისაღები ეგზამენები დაიწყება 25 აგვისტოს. სახელმწიფო ვაკანსიები წელს სემინარიაში 27-ა.

✦ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას განუზრახავს დააარსოს სასცენო ხელოვნების შესასწავლად განსაკუთრებული კლასები, რომელშიაც გამოუცდელნი მოყვარულნი სცენისა ივარჯიშებენ სასცენო ხელოვნების შესასწავლად მცოდნე კაცის ხელმძღვანელობით.

✦ როგორც გაზეთები იწერებიან, ქ. ელისავეტგრადში აღმოუჩენიათ ქალი და კაცი, რომელნიც თურმე ჰყიდდნენ ტფილისის თვითმმართველობის ობლიგაციებს; ეს ობლიგაციები ამას წინად მოიპარეს ქალაქის კასიდან ვიღაც ბოროტ-მოქმედებმა. ქალი და კაცი დაუპატიმრებიათ. გამოძიების დროს გამორკვეულა, რომ კაციცა და ქალიც კრემენჩუკიდან ყოფილან, კაცი სასტუმროს პატრონი, ხოლო ქალი—უზნეო ქცევის ადამიანი.

✦ „კავკაზ“-ს ატყობინებენ, რომ სამტრედიაში ნება დაურთავთ დააარსონ სამეურნეო მრეწველობის რუსეთის საზოგადოების განყოფილება.

✦ „ნოვ. ობოზრ“. გადმოგვცემს, რომ აგვისტოში დაიწყებენ კიდეც ტფ. სახალხო სახლის შენებას (კიროჩნი ქუჩაზე, „კრუჟოკ“-ის საზაფხულო ბინის პირდაპირ).

✦ მცხეთის საკათალიკოზო ტაძრის განმაახლებელ კომიტეტს დღემდე 931,000 მანეთი შეუკრებია. სულ ტაძრის განსაახლებლად, როგორც გამოანგარიშებულია, საჭიროა 185,000 მანეთი. კომიტეტს უკვე გადაუწყვეტია შეუდგეს საქმეს და ამ აზრით აურჩევია ტეხნიკოსთა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც დაწვრილებით უნდა დაათვალიეროს ტაძარი, აღნიშნოს ყოველივე ნაკლი და შეადგინოს გეგმა მუშაობისა („ცნ. ფ.“).

✦ სამეურნეო საზოგადოებისათვის ამ დღეებში პეტერბურგიდგან მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს უცნობებია, რომ ამ ცოტა ხანში მოგივათ ასი მოწმობა და ვისაც მაგ მოწმობას მისცემთ, ნება ექმნებათ სამეურნეო იარაღის გადატან-გადმოტანისა რკინის გზებზედ დაკლებულის ფასით 1902 წლის განმავლობაში.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ კომერციულ ბანკის გამგეობას შეატყობინა, რომ წელს პურისა, ქერისა და შვრიის მოსავალი მთელს ამიერ-კავკასიაში კარგი იყო, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთს ადგილს ტფილისისა და ერევნის გუბერნიებში, სადაც მოსავალი სეტყვამ გააფუჭა, ტფილისისა, განჯისა და ერევნის გუბერნიებში, შედარებით სხვა წლებთან, წელს ნახნავები ნაკლებადა ყოფილა, რადგანაც 1900—1901 წლებში მოუსავლობის გამო მცხოვრებთ თესლი ცოტა ჰქონიათო.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ აცნობა საკომერციო სასწავლებლის საბჭოს, რომ მისის თხოვნისამებრ, სასწავლებელს დაეთმობა კუკიის ტყის ნაწილში ადგილი ხეთა დარგვის დღესასწაულის გასამართავად.

✦ ორშაბათს 22 ივლისს წინანაურის საყდრის დღეობა იყო. დღეობამ დიდ-ძალი ხალხი მიიზიდა, უფრო მდაბიო ხალხი.

ჩვენებური ამბები

თელავი. გაზაფხულიდგან დაწყებული დღევანდლამდის დიდი მითქმა-მოთქმა იყო თელავის ბიბლიოთეკის შესახებ. ზოგნი თხოულობდნენ გამგეობისაგან ბიბლიოთეკის ავი და კარგი გვაცნობეთო, რა იქმნა ამდენი და ამდენი წიგნები იყოვო, რა იქმნა ის ფულები, რომელიც ამა და ამ წარმოდგენებიდგან დარჩაო. ბევრის მითქმა-მოთქმის შემდეგ დაინიშნა საზოგადო კრება, კრებამ ამოირჩია კომისია და მიანდო საქმის გარჩევა. ამ კომისიაში ერივნენ ის პირნიც, რომელნიც ბრალსა სდებდნენ გამგეობას. იმედია, ეხლა მაინც გავიგებთ სწორე ამბავს.

—

ქუთაისი. გუშინ წავიდა აქედგან პეტერბურგში სათავად-აზნაურო ბანკის მმართველი ბ-ნი მელნიკოვი. ნამდვილი მიზეზი მისი წასვლისა არავინ იცის; ერთი-კია, რომ ბანკის საქმეების გამო არ არის წასული. ამისათვის ამ ერთის თვის წინად იყო იქ. სხვა მრავალ მიზეზთა შორის ორიოდეს ასახელებენ: ერთს შინაურს ოჯახურ მიზეზს, ხოლო მეორე მიზეზად იმას ასახელებენ, რომ იგი აქაურ ბანკის მმართველობას ვერ შეეთვისა. ამის გამო, ვითომც, გადაყვანა ეთხოვოს სამინისტროში და რადგან ტელეგრამით უარი მოსვლია, ახლა თითონ წასულა საქმის მოსაგვარებლად. ბ-ნ მელნიკოვს ბანკის საქმეები არავისათვის არ ჩაუბარებია, რაც მათს წარმატებას აფერხებს. საზოგადოდ მელნიკოვის ასე უეცროვ წასვლის გამო ქალაქში დიდი მითქმა-მოთქმაა და ყველა გაკვირვებულია. მაგრამ ქუთაისის ბანკს ხომ ასეთი სხვა-და-სხვა ხიფათი თან სდევს და დღევანდელი ხიფათიც განგრძობაა ძველისა... ბ-ნს მელნიკოვს ბიჭისთვის ისიც-კი დაუბარებია, რომ 2—3 კვირაში თუ ვერ ჩამოველი, მერე ნუღარ მელით, ჩემი ნივთები გაჰყიდეთო.

—

ოზურგეთი. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ოზურგეთის სამკითხველო დაარსდა. სულ ექვსი წელიწადია. მკითხველი ცოტაა. ეს სამკითხველო მოთავსებულია ცუდს ადგილს, დუქანში, ამისათვის ქალები თითქმის არ დადიან. წიგნებიც ცოტაა. ამას წინად შემოვიდა სამკითხველოში ერთი პარკის გამყიდველი ქალი და იკითხა: „პარკს ხომ არ იყიდით ვინმე“. შემდეგ ერთი სოფლის კაცი შემოვიდა თამბაქოს წევით და იკითხა ვიღაც სო-

ფელეტონი

შინაურთა შორის

სინიდისიერი მოხელე.—ზოგს ღვდელი მოსწონს, ზოგს ღვდლის ცოლი. —ზნეობრივი გადაგვარება. —ეხლა რაღას იტყვის გოგოთური.

არ ვიცი, თქვენ რა თვალით უყურებთ პატარა-პატარა ამბებს, გაზეთებში წვრილის ასოებით დაბეჭდილს, და მე-კი ძალიან გულმოდგინეთა ვკითხულობ ხოლმე. თუ გნებავთ, გამოვტყდები და ვაღიარებ, რომ ჯერ იქიდამ დავიწყებ ხოლმე გაზეთის კითხვას. ამას წინად ამოვიკითხე შემდეგი ამბავი: ნათლუხის მემამულეს დიმიტრი ჯიჯავაძეს მოჰპარესო ექვსი თუ შვიდი ხარი, რომელთა შორის ოთხი საგანგებო რამ იყო და პატრონს დაუჯდა მათი შეძენა 450 მანეთიო. თანაც სანუგეშოდა სწერდნენ, რომ პოლიცია შესაფერს ზომებს შეუდგაო. ოთხისა თუ ხუთის დღის შემდეგ გაზეთებმავე შეგვატყობინეს, რომ ბ-ნ ჯიჯავაძის მეცადინეობით, დაკარგული ოთხვეხი საქონელი აღმოჩნდა მთლიანად და პატრონმა უკანვე დაიბრუნა იგინიო. თურმე საქმე როგორა ყოფილა: გაიგო თუ არა დაკარგვამა თავისი ზარალი, მაშინათვე გაქანდა უბნის პოლიციაში და გამოაცხადა თავისი დარდი. უთხრეს—მოიცადე, ეხლავ გაათავებს მორიგი მოხელე „პროტოკოლის“ წერას და ახლა შენს საქმეს შეუდგებაო. გავიდა მართო ერთი საათი, ვიდრე მოხელე განთავისუფლდებოდა. განთავისუფლებისათანავე ამაცად გაჩარხა საწერელ-კალამი, გადმოიღო ქაღალდი და შეუდგა ახალის ოქმის წერას. ჰკითხა სახელი, ცხონებულ მამის ვინაობა, გვარი, წლოვანება, პასპორტი, ოჯახური მდგომარეობა, სახლის ნომერი, ქუჩა, ოთახების რაოდენობა და სხვა ყოველივე. თანაც გააფრთხილა, რომ ამ წვრილმანებში შეცდომა არა მოჰსვლოდა-რა დაზარალებულს, თორემ პასუხისგება არ ასცდებოდა. ერთი გვერდი თაბახისა გაივსო. მოხელეს ოფლის ხვითქი გადასდიოდა მოვალეობის მტკიცე აღსრულებისა გამო. სულის ამოსათქმელად საჭირო შეიქმნა პაპიროსით გართობა. მანამ პაპიროზს გაათავებდა, გაიმართა მცირედი რამ მასლაათი ზოგი პოლიტიკის შესახებ, ზოგი აქეთურზე და ზოგიც, სამართლიანობისა და მიუკერძოებისათვის, იქითურზე. შესვენების უმალ მოხელეს გაახსენდა თავისი მოვალეობა, წაავლო კალამს ხელი და განაგრძო კითხვების დადგენა თანდათანობის მიხედვით. ჩახატა ოქმში დაწვრილებითი და სინიდისიერი აღწერა ბინის ადგილ-მდებარეობისა, პირუტყვთა ნიშნები, სახელები, მათი ასაკი, სქესი, სიმრთელის ვითარება, მქროხელების ვინაობა და ყოველივე, რაც-კი მათ თავს გადაჰხედიათ და რაც-კი მათს პიროვნებას შეეხებოდა. არ დაავიწყდა, ბოლოს ისიც ეთქმევინებინა ბ-ნ ჯიჯავაძისათვის, თუ სახელდობრ ვისზედა აქვს მას გუმანი. გაიწურნენ ოფლში მოხელე სამსახურის მოვალეობის აღსრულებით და მომჩივანი გარემოებათა ჩამოთვლით. ბოლოს გაჰშორდნენ ერთმანეთს. ბ-ნ ჯიჯავაძეს თურმე ბოლო უფრო აინტერესებდა, რომ შეეტყო, რა ღონისძიებას იხმარენ დაკარგულის საპოვნელად. ამაზედ უთხრეს, რომ ყოველივე ეს აღწერილობა გადიწერება რამდენსამე ცალად, გაეგზავნება უფროსებს და მაშინათვე განკარგულებას მოახდენენ ქურდების დაჭერის შესახებაო.

მართლაც, გაიმართა გაცხარებული მიწერ-მოწერა, რომელმაც მეორე დღესვე გაზეთებამდისაც მიაღწია. მაგრამ დაზარალებულმა ნახა, რომ ამ იმედით ვერას გახდებოდა, თანაც გამოცდილებით იცოდა, რომ ამისთანებში მიწერ-მოწერა-კი არა, საჭიროა სწრაფი მდევარი, რომლისთვისაც თავს არავინ იწუხებდა. დაჰკარგა რა ტყუილ ლოდინში ორისამი დღე, დაიქირავა რამდენიმე მარჯვე ბიჭი, მოახტა თითონაც ცხენსა და გაჰკურცხლა ახლო-მახლო სოფლებისაკენ. ამ საშუალებით შეუკრა გზა ქურდებს და თავისი ხარებიც აღმოაჩინა, ხოლო ქურდები გადასცა პოლიციას—ეგე, ეხლა სწერეთ, რამდენიც გსურდეთო.

⁂

როცა ნათლუხელ მემამულეს ასეთი ჰაპანწყვეტა ედგა ტფილისში, თითქმის ამავე დროს უფრო უარესი დღე დაადგა ერთ გერმანელ სანეფო ყმაწვილს ეილერს და მის დანიშნულს ანნა ფოსს აჯიკენტში. დანიშნულები წასულიყვნენ სასეირნოდ მახლობელ ტყეში. მიდიან გზატკეცილით, ჰიკიკობენ ალერსიანად და ჰსიამოვნებენ ზაფხულის მშვენებით ამ საავარაკო მიდამოში. უცებ გამოხტა ტყიდამ ყაჩაღი შეიარაღებული, გადაუდგა მათ წინ და შეჰყვირა: მოიტათ ფული, თორემ ეხლავ ორივეს მტვრად გაქცევთო. მისცეს ფული, მაგრამ ყაჩაღმა არ იკმარა და სტაცა ხელი ანნა ფოსს. საქმრო წამოექომაგა, ყაჩაღმა დასჭრა იგი და გაიქცა. კარგია კიდევ, რომ ჭრილობა სუბუქი აღმოჩნდა. გულგახეთქილი დანიშნულები დაბრუნდნენ აჯიკენტში და შესჩივლეს პოლიციის მოხელეს ბ-ნ ყიფიანს. ამან თურმე არც ოქმი შეადგინა, არც არა გამოჰკითხარა, ქაღალდისა და კალმის წვერიც-კი არ აჩვენა დაზარალებულთ, მხოლოდ გაკვრითა ჰკითხა გვარ-ტომობა ყაჩაღისა, მისი ასაკი დაახლოვებით და მისი ჩაცმულობა. დანიშნულები უეჭველია უკმაყოფილონი გამოეთხოვნენ მოხელეს და გამწარებულნი დაბრუნდნენ სახლში. მათი წასვლა და ბ-ნ ყიფიანის ცხენზე მოჯდომა ერთი იყო თურმე. ამ მოხელემ გაიყოლა თან რამდენიმე ჩაფარი და ფიცხლავ გაუდგა გზას. შეჰყარა ახლო-ახლო სოფლის მოხელენი და ჩაასაფრა ტყის გასავალ გზებსა და ბილიკებზედ. მეორე დღეს შენი ყაჩაღი გააბეს და ჩამოაბძანეს აჯიკენტში შესაფერად გაბაწრული. მაშინ-კი დაიბარა მოხელემ დაზარალებულნი და გამართა არა ნაკლებ სინიდისიერი და დაწვრილებული აღწერა იმ უბედურ შემთხვევისა, რომელიც გადაჰხდათ თავს ნეფე-საპატარძლოს. გააჭრელეს თაბახი-თაბახზედ, ჩამოსდიოდათ ოფლი მწერლებსაც, ყაჩაღსაც და ეილერ-ფოსსაც; მაგრამ, თუ დამეთანხმებით, ცოტაოდენი გარჩევა-კი არის მათ ოფლსა და ნათლუხის საბოქაულოს ოფლს შორის.

თქვენ რომელი სინიდისიერებაც გნებავთ, ის მოიწონეთ, რადგან კაცია და გუნება, ზოგს ღვდელი მოსწონს, ზოგს ღვდლის ცოლიო და ზოგსაც მათი გასათხოვარი ასული. მხოლოდ ეს მოწონება ჩვენში-კი დარჩეს, თუ ღმერთი გწამთ, თორემ, ხომ მოგეხსენებათ, ხიფათიანი დროა და გულის-პასუხის გამოთქმას „თავისი თაბაუთი აქვს“.

⁂

სასისხლო ამბებით დავიწყეთ დღევანდელი ჩვენი მუსაიფი და ბარემ ასეთისავე ამბებით დავაბოლოვოთ იგი. მე წარმოდგენილი მაქვს მკითხველის გულუბრყვილო მწუხარება, რომელიც გამოიწვია მასში საქართველოს ეკკლესიების ცარცვამ. მოარულივით მოედო ეს შემაძრწუნებელი, ეს აღმაშფოთებელი ავაზაკობა თითქმის მთელს ჩვენს არე-მარეს, რომელსაც მთელი საქრისტიანო ქვეყნიერება უყურებს, როგორც ნეტარ ხვედრს თვით ღვთის-მშობლისას. ჩვენმა ისტორიამ იცის მრავალი უბედურება, რომელიც მოუვლენიათ საქართველოს ეკკლესიებისთვის მძვინვარე მტრებს საქრისტიანოსას. თათრებმა, არაბებმა, თემურ-ლენგისა და ჩინგიზ ყეენის ბრბოებმა მრავალჯერ გაანადგურეს ჩვენი ქვეყანა, წაბილწეს მისი სარწმუნოება, ააოხრეს ჩვენი ეკკლესიები, შეაგინეს ჩვენი სალოცავები, გაძარცვეს მდიდარი ხატები, მაგრამ ყოველივე ეს მოვლენილი იყო ჩვენის მტრებისაგან, ხოლო ჩვენ ვიყავით უბედურნი მსხვერპლნი მათის უდიერის მძვინვარებისა. ამით ჩვენ გული მკვდარი გვქონდა, მაგრამ ზნეობრივ ჩვენ თან დაგვდევდა ჩვენი სიმართლე და ამით ვიყავით მაგარნი, გაუტეხელნი, მედგრად მებრძოლნი შავის ბედისა. მოვიყრევინებდით თუ არა მტერს მხრებიდგან, მაშინათვე შევუდგებოდით ჩვენის ქვეყნის მოშენებას, აღყვავებას, განახლებას და ყოველსავე ამას სათავეში ედგა ეკკლესია, რომელიც იყო ბურჯი ჩვენის ძლიერებისა. ეკკლესიის გამშვენება შეადგენდა უმთავრესს საზრუნველს ყოველის ქართველისას, განურჩევლად სქესისა, ჩამომავლობისა და წოდებისა. ამათის შეერთებულის და თავ-გამოდებულის მხნეობით უკეთესის მშვენებით განახლდებოდნენ ხოლმე დანგრეული ტაძრები, გაძარ-

ფლის კაცი, ამას ალბათ უბრალო დუქანი ეგონა. ამისთანა მაგალითები მრავალია. ქალაქის სამკითხველოს ჰყავს ზედამხედველი და ბიბლიოთეკის ვამგე.

უმორჩილესად ვსთხოვ ზედამხედველს, რომ ეცადოს სამკითხველო უკეთესს ადგილს გადაიტანოს, თუ ჰსურს ბევრი მკითხველი ჰყავდეს. ოზურგეთის საზოგადოებასაც ვსთხოვ, თითო-ოროლა წიგნი ყველამ შემოსწიროს და ამით ბიბლიოთეკა გაამდიდროს.

ს. ყორყოლიანი.

—

სოხუმი. ამ სამის წლის წინად სოხუმის საბჭომ, მიუხედავად იმისა, რომ ხმოსნების უმრავლესობას ვაჭრები შეადგენენ, შუამდგომლობა აღძრა საგუბერნიო მთავრობის წინაშე, სოხუმის ყველა სავაჭრო და სახელოსნო დაწესებულებანი დაკეტილი ყოფილიყო კვირა-უქმე დღეებში, რათა ამით ცოტათი მაინც შემსუბუქებოდათ ნოქრებსა და ქარგლებს მათი მძიმე უღელი. მაშინ ეს კეთილი აზრი არ იქმნა შეწყნარებული სათანადო მთავრობისაგან.

წელს, აგერ ორი თვეა თითქმის, რაც სოხუმის ყველა დუქან-მაღაზიები და სახელოსნოები უქმე დღეებში მხოლოდ წირვის გამოსვლიდგან ნაშუადღევის ორ საათამდე არის გაღებული და დანარჩენი დრო-კი დაკეტილია.

ამნაირად ჩვენს ნოქრებს თითქმის უსრულდებათ მათი დიდის ხნის სურვილი, მაგრამ საქმე ის არის, როგორ უნდა მოიხმარონ ეს თავისუფალი დრო? ჩვენ-და სამარცხვინოდ, სოხუმს, ამ ათი-ათას მცხოვრებიანს ქალაქს, არ მოეძევება არც სამკითხველო და არც საკვირაო სკოლა, სადაც შესაძლო ყოფილიყო ნოქარ-ქარგლებისათვის გონივრული დროს გატარება და სულიერის საზრდოს მოპოვება. და უამათოდ-კი ისინი ისეთს მდგომარეობაში ჩავარდნენ ეხლა, როგორშიაც ვარდება ხოლმე სატუსაღოდგან ახლად განთავისუფლებული მაწანწალა, რომელიც ისევ ციხეში ჯდომას არჩევს უსაქმოდ ხეტიალს.

ახლა უქმე დღეებში ჩვენი ნოქრები ან უმიზნოდ დაეხეტებიან ქუჩა-ქუჩა, ან ქუდჩატეხილები ჯდებიან ეტლებში, გადიან ქალაქს გარედ და ხარჯვენ სიმწარით ნაშოვნს ორს გროშს ან-და, ვინც უფრო პატარეები არიან, თავიანთი მაღაზიების წინ არიან ატუზულნი და ელიან იმ დროს, როცა ნებას მისცემენ კარების გაღებისას, რადგან მათს ბინას ისევ დუქან-მაღაზიები შეადგენს; გარედ ხომ ვერ დარჩებიან მთელი დღე!

დიდს სარგებლობას მოგვიტანდა ჩვენი ნეტარხსენებული სამკითხველო, რომელიც დიდის შრომით და დავი-დარაბით გაიხსნა ამ ექვსის წლის წინად, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ ჩვენის ხალხის თვისება, საქმის დაწყება ვიცით და ბოლოს გატანა-კი არა. შეაგროვეს რამდენიმე ასი წიგნი, შეიძინეს საჭირო ავეჯეულობა და გახსნეს სამკითხველო ბ-ნ კალანდარაშვილის სახელზედ მისსავე ბინაში, მაგრამ ეს იყო და ეს. ამის შემდეგ მოისპო სამკითხველოზედ ზრუნვა და მკითხველს ხომ დიოგენის ლამპრითაც ვერ იპოვით შიგ, და ისე ჩქარა თქვენმა მტერმა დალიოს სული, როგორც ჩქარა ჩვენი სამკითხველო გამოესალმა წუთი-სოფელს. არ გასულა რამდენიმე თვე, რომ ბ-ნი კალანდარაშვილი მოჰყვა წუწუნს—„მომაშორეთ თავიდგან ეს თქვენი სამკითხველო, რომელსაც არც არა სარგებლობა მოაქვს და ადგილსაც ტყუილად იკავებსო და, რადგან არავინ ყურადღება არ მიაქცია მის თხოვნას, იმანაც აიღო და ყველაფერი გარედ გამოიტანა, რომ ოთახი გაეთავისუფლებინა და წვიმასა და მზეში დაჰყარა წიგნებით სავსე შკაფები და სხვა ავეჯეულობა.

წიგნებს კიდევ გამოსჩენია გულშემატკივარი კაცი და თავის სახლში მაინც შეუფარებია, მაგრამ ავეჯეულობა ვის ხელშია, ღმერთმა უწყის.

ჩვენ არ შეგვიძლიან რამე ბრალი დავსდოთ სამკითხველოს გამგეს, რომ აგრე მოექცა საზოგადო კუთვნილებას, რომელიც მას ჩააბარეს, რადგან იმას შეძლება არ ჰქონდა თავისს, უმისოდაც ვიწრო ბინაში, უსასყიდლოდ დაეთმო ოთახი სამკითხველოსათვის და ისიც მაშინ, როდესაც მას არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა. საკვირველი ის არის, რომ ამოდენა ქალაქში ერთი კაციც არ აღმოჩნდა ამ ხუთის წლის განმავლობაში, ეკითხნა მაინც, რა ბედი ეწვია იმ საზოგადო საქმეს, რომელშიაც მისი წვლილიც არის.

ახლა, როგორც შევიტყეთ, ზოგიერთ ხმოსნებს განუზრახავთ მომავალს ქალაქის წიგნთსაცავს გარდასცენ, რაც დარჩა ჩვენს ყოფილს სამკითხველოს (საზოგადოების თანხმობით, რასაკვირველია) და ამითი მაინც გადაარჩინონ ის მოსპობას, მაგრამ ჩვენის აზრით, ქალაქის მომავალი სამკითხველო ჩვენ ვერ მოგვიტანს სასურველს სარგებლობას, ჯერ ერთი იმტომ, რომ როდის დაგვიარსდება ეს სამკითხველო, კაცმა არ იცის, მეორეც ის, რომ ქალაქის სამკითხველო უფრო ოფიციალურ დაწესებულებად გარდაიქცა და მისი გაღებისა და დაკეტვის დრო სრულებით არ იქნება შეფარდებული ჩვენს მოთხოვნილებასთან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არავითარი ერთსულობა არ არსებობს ჩვენს საბჭოსა და გამგეობის შორის.

უკეთესი იქნებოდა ისევ ჩვენ გაგვეჭირებინა საქმე და დაგვეყენებინა ფეხზე ჩვენი სამკითხველო. ეხლა ეს მით უფრო ადვილი იქნებოდა, რომ, იმ დროსთან შედარებით, როცა სამკითხველო გაიხსნა, ახლა უფრო გაღვიძებულია ხალხში კითხვის მოთხოვნილება და ყველა სიამოვნებით აღმოუჩენს შეძლებისა დაგვარს შემწეობას ამ კეთილს საქმეს, თუ რომ ვინმე ითავა.

მექი.

—

ლეჩხუმი. ჩვენმა ჟურნალ-გაზეთების მკითხველებმა, მგონია, ამერიკის და აფრიკის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრების ამბავი უფრო ზედ-მიწევნით უწყიან, ვიდრე ლეჩხუმის მაზრის ავ-კარგი. დალოცვილ ლეჩხუმელებს არც სხვა დაწინაურებულ ხალხთა ცხოვრების გაცნობა ეინტერესება და არც თავის ცხოვრების ვითარება სურსთ გააცნონ ქვეყანას. ამ მხრივ ძველი თაკვერი უფრო მეტად ჰგავს ზეციურ იმპერიად წოდებულს დიდს ჩინეთს, რომელიც თავისმა კარჩაკეტილობამ და მამა-პაპათა ძველ სარეცელზე ღრმა ძილმა კინაღამ წუთისოფელს გამოაკლო.

მადლობა ღმერთს, ქართველმა ერმა საკმაოდ გამოახილა გონების თვალი, დაინახა, რომ ძველი მამა-პაპური ყოფა-ცხოვრების დრო საუკუნოდ წასულია; და შეუდგა ახალის ჟამის შესაფერად ცხოვრების მოწყობას. ქართველი ხალხი სცდილობს მიჰბაძოს განათლებით წინ წასულს ქვეყნებს და მათებურად მოაწყოს, რამდენადაც გარემოება ნებას აძლევს, თავისი მოქალაქობრივი ყოფა-ცხოვრება. ქართველობა მეცადინეობს შეიძინოს განათლებულ ხალხებისაგან ახლანდელ ცხოვრებაში გამოსადეგი სხვა-და-სხვა დარგის სწავლა-მეცნიერება და მხარ-და-მხარ თუ ვერა, უკან მაინც მიჰყვეს დაწინაურებულს ხალხებს გონებრივ და ეკონომიურ წარმატების გზაზე.

ამ დიდ გონებრივ მოძრაობის ხანაში მხოლოდ ერთს ნაწილს ჩვენის ხალხისას,—ლეჩხუმელებს სძინავთ საღათას ძილით და სრულიადაც არ სცდილობენ გამოიჩინონ გამოფხიზლებისა და სიცოცხლის ნიშანი. დავეკითხოთ ლეჩხუმს, რამდენი სასწავლებელი და წიგნთ-საცავ-სამკითხველო აქვს თავის მეთაურობით და ხარჯით გახსნილი? დავეკითხოთ აგრეთვე, რამდენი შვილი ჰყავს ლეჩხუმს განათლების ტაძრებში? ან-და რამდენი მკითხველი ჰყავს ჩვენგან ჩვენებურს ჟურნალ-გაზეთებს? რამდენი შვილი ჰყავს ლეჩხუმს ისეთი, რომელთაც შეუძლიანთ მიაწოდონ ჩვენს პრესას ამ მხარის მკვიდრთა მდგომარეობის ამბავი.

რამდენი ჩვენებური წევრი ჰყავს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და რა წვლილი შეგვიტანია ამ საზოგადოების სალაროში? ვკითხოთ კიდევ ქართულ დრამატიულს საზოგადოებას, რა მონაწილეობა მიუღია ქართულ მელპომენის ტაძრის გაჩენისა და მის მკვიდრ საფუძველზედ დამყარების საქმეში ლეჩხუმს და რა წვლილი შეაქვს მას ქართულ დრამატიულ ხელოვნების ზრდისა და აღორძინების საქმეში?

ჩვენის აზრით, ლეჩხუმის მკვიდრთა ესეთი მდგომარეობა უნდა შეადგენდეს მთელის ქართველობის დამაღონებელს და ღრმად ჩამაფიქრებელს საგანს... უიმისოდაც რიცხვით მცირე ერს, როდესაც გამოგვაკლდება მთელი მაზრის მკვიდრი საერო წარმატების შესახებ ზრუნვა-მოღვაწეობაში, ეს, რასაკვირველია, მცირე დასაკლისს არ წარმოადგენს. ერის სოციალური და კულტურული წარმატების მთავარი საგანი გახლავს ხალხის შეერთებულის ძალ-ღონით საკეთილდღეოდ შრომა-მეცადინეობა. ერის აგებულება ადამიანის სხეულის აგებულებასა ჰგავს: თუ ადამიანი ვეღარ ახერხებს შრომას, როდესაც რომელიმე ნაწილი სხეულისა დაავადებული აქვს და ვეღარ უწევს ამხანაგობას დანარჩენ ორგანოებს, ისე ერი ვეღარ აღწევს საერო სამოღვაწო ასპარეზზედ თავისს მიზანს, თუ მას გამოკლებული ჰყავს რომელიმე ნაწილი თავის ეროვნულის აგებულობისა...

რასაკვირველია, გონებრივის მხრივ წარმატებისა და განვითარების გზაზედ ლეჩხუმის ასე უკან ჩამორჩენის უმთავრესი მიზეზი ის გარემოება უნდა იყოს, რომ ლეჩხუმს არა ჰყავს ნასწავლი, გონება განვითარებული შვილები, ეგრედ წოდებული ინტელიგენცია, რომ საზოგადოებას მოჰფინოს განათლებული კაცის სხივი რჩევა-დარიგებით და გაუკაფოს გონებრივ მოძრაობის გზა, ჩააგონოს ხალხს, რა გვარად მოჰმართოს ცხოვრების ჩარხი, რომ იგი წარმატების გზას დაადგეს. მთელი მაზრა რომ დაიაროთ, დიოგენის ლამპრითაც რომ ეძებოთ, ჯეროვნად განათლებულს მკვიდრს ვერ იპოვით აქ. მართალია, ორიოდე ნასწავლი შვილი მოეძებნება ლეჩხუმსაც, მაგრამ რა გამოვიდა, ესენი ხომ ლეჩხუმში არ სცხოვრებენ, სხვა-და-სხვა მხარეებში მსახურებენ შემოსავლიან ადგილებზედ. ლეჩხუმი ყოველ მხრივ, გონებრივადაც და ქონებრივადაც, უკან-უკან მიდის ჩქარის ნაბიჯით. როდის გათენდება ამ მაზრისათვის, როდის დაადგება ლეჩხუმი პროგრესის გზას, ეს მხოლოდ ღმერთმან უწყის...

ქაიხოსრო გელოვანი.

უცხოეთი

ინგლისი. ამ დღეებში დიდის აღტაცებით მიეგებნენ ირლანდიელი დეპუტატები ო'დონნელს, რომელიც, საპყრობილიდგან განთავისუფლების შემდეგ, პირველად გამოცხადდა საზოგადოებათა პალატაში; ო'დონნელი ფერმერებს აქეზებდა თურმე, ნუ მისცემთ მემამულეებს საიჯარო გადასახადსაო, და ამისათვის იყო დაპატიმრებული.

იმავე დღეს პალატას მსჯელობა ჰქონდა ირლანდიის კრედიტთა შესახებ. ამ შემთხვევით ისარგებლა ირლანდიის ნაციონალისტთა ბელადმა, ჯონ რედმონდმა, და სასტიკად გაჰკიცხა ირლანდიის ადმინისტრაციის არსებული სისტემა.

საფრანგეთი. კომბის სამინისტრო ისე მედგრად და თანაც დინჯად მოქმედებს, რომ კლერიკალთა ოპოზიციამ დაჰკარგა ყოველივე იმედი გამარჯვებისა და თანდათან სცხრება. კომბს ყოველის კუთხით ათასობით მოსდის მილოცვა, რომ ასე ენერგიულად მოეკიდა თავის საქმეს და კონგრეგაციათა კანონი განახორციელა.

გაზეთი „Neue Fr. Presse“-ი იუწყება, პარიჟში მხოლოდ ხუთი სკოლა-ღა დარჩა დაუხურავიო. ამ სკოლების მასწავლებელი მონოზნები დიდს წინააღმდეგობას უწევენ ადმინისტრაციას და არ აპირობენ სკოლების დახურვას.

ერთი ამ სკოლათაგანი იმყოფება ლევალლუას მიდამოში—ღვთის განგების სავანეში. პოლიციას ეჭვი აქვს, რომ მონოზნებს ადგილობრივი მღვდელი აქეზებს და წინააღმდეგობას აწევინებსო. ლევალლუას მცხოვრებთ დეპუტაცია გაუგზავნიათ სამინისტროში, ზემოხსენებული მღვდელი მეთაურობს დემონსტრანტებსაო და საშიშ მანიფესტაციებს ახდენს მთავრობის წინააღმდეგო. სამინისტრომ დაარწმუნა დეპუტაცია, ვერავითარი მანიფესტაცია ვერ შეგვიშლის ხელსაო. რაც შეეხება დანარჩენ მღვდლებს, რომელნიც სხვებსაც აქეზებდნენ და თავადაც ეწინააღმდეგებოდნენ მთავრობის განკარგულებას, მათ ყველას დისციპლინარულს სასჯელს მოახდევინებენ; ამ სასჯელს, უეჭველია, ყველაზედ უწინ მოიხდის აბატი პატიურო, რომელმაც ღია ბარათი მისწერა და შეურაცხყოფა მიაყენა მინისტრ-პრეზიდენტს.

ბელგია. ბელგიის ტახტის მემკვიდრემ, პრინცმა ალბერტმა, „Voornit“-ის კოოპერატიულ საზოგადოების გამგეობას მიჰმართა თხოვნით, ნება მომეცით დავათვალიერო საზოგადოების საქმეები, რომელსაც სოციალ-დემოკრატნი განაგებენო. პრინცი თავის თხოვნას იმით ასაბუთებდა, რომ თქვენის საზოგადოების საუცხოვო მოქმედების შესახებ ბევრი მსმენია, მაგრამ სულითა და გულით მწადიან ჩემს ხალხს პირადადაც ვიცნობდე, და არა მარტო ჟურნალ-გაზეთებიდგანაო.

„Voornit“-ის საზოგადოების გამგეობამ შემდეგი პასუხი მისცა პრინცსა და მის მეუღლეს:

პრინცს ალბერტს, ბრიუსელს.

ბატონო ალბერტ და საყვარელო ელისაბედ!

თქვენის პატივცემულ წერილის პასუხად უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენის საზოგადოების ნამოქმედართა დათვალიერების ნება ყველასა აქვს. ჩვენ დიდის სიამოვნებით დაგათვალიერებინებთ ყოველივეს და გაჩვენებთ, თუ როგორ შეუძლიან ხალხს შრომა, და დაგიმტკიცებთ, რომ სოციალისტნი არც ისეთი დამაქცევარნი არიან, როგორც მათ შესახებ ლაპარაკობენ. რადგან ჩვენი მაღაზიები კვირაობით $12^{1}/_{2}$ საათზედ იკეტება, ამისათვის დიდად დაგვავალებთ, თუ ცოტა უფრო ადრე მობრძანდებით დილით, რომ ჩვენ, მოსამსახურეთა, კვირის მოსვენება მაინც არ დაგვაკლდეს. ჩვენი ამხანაგი დე-ლოორი მზადაა თქვენდა სამსახურად, რომ დაგატაროთ ჩვენი დაწესებულებანი და ყოველივე დაწვრილებით გაგაცნოსთ.

მიიღეთ ჩვენი ძმური სალამი, ძვირფასნო ალბერტ და ელისაბედ.

გამგეობა „Yoornit“-ის საზოგადოებისა.

სწორია: ი. დაგობერი.

ოსმალეთი. გაზეთ „Београдске Новине“-ს დეპეშით ატყობინებენ მიტროვიცკიდგან, ადგილობრივ ალბანელთა და ოსმალთა შორის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია იმ ამბავმა, რომ აქ რუსის საკონსულო არსდებაო. მიტროვიცის მეჩითში კრება მოახდინეს ალბანელთა; თათბირი ჰქონდათ იმის შესახებ, თუ რა ღონე ვიღონოთ, რომ რუსის კონსულს მიტროვიცში ფეხი არ შემოვადგმევინოთო. ოსმალნიც შეკრებილიყვნენ და იგივე დაედგინათ, რაც ალბანელთ. შემდეგ ამისა ოსმალნი და ალბანელნი ერთად შეყრილიყვნენ და გადაეწყვიტათ, არამც და არამც(!) არ გავაჭაჭანოთ რუსის კონსული მიტროვიცაშიო; თუ საჭიროებამ მოითხოვა, მთელის მაზრის ალბანელებს შევყრითო. ყველაზედ უფრო გულმოდგინედ აგიტაციას კათოლიკე მღვდლები ეწევიან. აგიტატორთა შორის ყველაზედ მეტს ყურადღებას იპყრობს სკოპიაში მყოფ ავსტრიის კონსულის კავასი ბეკირი. იგი საქვეყნოდ ჰქადაგებს, ავსტრიამ უნდა დაიფლოს ძველი სერბია და ამისათვის საჭიროა ხელი შევუშალოთ რუსის კონსულის დამკვიდრებას მიტროვიცშიო.

სკოპიიდგანაც იუწყებიან დეპეშები, ავსტრიის აგენტები დაძრწიან ვუჩი-ტერნის მკვიდრ ოსმალთა შორის და ხალხს უქადაგებენ, რომ არამც და არამც მიტროვიცში რუსის საკონსულოს დაარსების ნება არ მისცეთო, მაგრამ ვუჩი-ტერნის მაჰმადიანები ყურსაც არ იბერტყავენო.

— სარწმუნო წყაროებიდგან შევიტყეთ, რომ იტალიის მთავრობას განუზრახავს მონასტერში (მაკედონიაშია), რომელიც ბულგართა გაერთიანების მოძღვრების შუაგულია, თავისი საკონსულო დააარსოს.

მაკედონია. ენა ვერ ასწერს იმ შემაძრწუნებელს სურათს, რომელსაც დღეს მაკედონია წარმოადგენს. მთელი ეს კუთხე ნამდვილ საყასბოდ გარდაიქცა, სადაც, არა თუ მარტო შეძლებულთა და მოწინავე სლავიანთა ელეტენ, უბრალო წერა-კითხვის მცოდნეთაც-კი შეუბრალებლად ჰმუსრავენ; როგორც სისხლით გაუმაძღარი ტყის ნადირი დაერევა ცხვრის ფარას, ასობით გამოსჭრის ყელს და, როდესაც სურვილს მოიკლავს, ამაყად წამოუწევს შორი-ახლოს,—სწორედ ასეთისავე კმაყოფილებით დაჰყურებენ გამხეცებული მუსულმანები თავიანთ მსხვერპლებს; ათასობით ჰყრია ჯერ გაუპატიურებული და შემდეგ საზიზღრად დასახიჩრებულ მანდილოსანთა გვამნი.

ნეტავ როდის უნდა ეშველოს რამე აღ უპატრონოდ დატოვებულს ხალხს!

თეატრი და ხელოვნება

სურამი. შაბათს, 27 ივლისს, დანიშნულია აქ ბ-ნ ვ. მესხიშვილის გამგეობით და ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით წარმოდგენა. წარმოადგენენ „ცხოვრების გმირს, 3 მოქმედებიან დრამას და „სიდედრი მაია„ ერთ მოქმედებიან ვოდევილს.

—

სურამი. ხუთშაბათს, 18 ივლისისთვის, დანიშნული იყო სცენის მოყვარულთა წარმოდგენა, მაგრამ უამინდობისა გამო წარმოდგენა მეორე დღისათვის გადაიდო. ამ მეორე დღესაც ჭინჭყლიანი ამინდი იყო, მაგრამ წარმოდგენა მაინც გაიმართა. წარმოადგინეს „ადვოკატი მელაძე“, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა და ბ.ბ. ვ. მურვანიშვილი, მ. ორჯონიკიძე, მ. კლდიაშვილი, დ. სულიაშვილი, დ. ცამციშვილი. წარმოდგენამ საუცხოოდ ჩაიარა. შემდეგ დივერტისმენტი გაიმართა, ხოლო დივერტისმენტის შემდეგ ცეკვა. ხალხი უამინდობის გამო ცოტა დაესწრო და შემოსავალმა მხოლოდ ხარჯი დაფარა.

ამ ჟამად ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი სურამშია.

19 ივლისს მაზრის უფროსი ბ-ნი ლეონტიევი მივიდა სურამში და ბ. გუნიას სთხოვა ცხინვალელთა სასარგებლოდ წარმოდგენა გამართეო. ბ-ნმა გუნიამ თანხმობა გამოუცხადა.

ნარკვევი

„ცნობის ფურცლის“ 1873 ნომერში გამოცხადებულია დიდად შესანიშნავი ახალი ამბავი, ვითომ ჩვენს რედაქციაში იყიდებოდეს ახლად მოგონილი პაროშოკი, სახელად „ანტი-სომბი“.

ამ პაროშოკს თურმე ისეთი ძალა აქვს, რომ საცა ერთი ბეწოს მოაყრით, იქ სომბები ისე სწრაფად იღუპებიან, როგორც

ცვული ხატები შეიმკობოდნენ უფრო უძვირფასესის თვლებითა და მარგალიტებით. ამ თვალ-მარგალიტის უმაღლესი ფასები შემოწმებულია არა თუ ქართველების მიერ, არამედ უცხოელთა მიერაც. თუნდა გაიხსენეთ ის ძვირფასი თვლები, რომლებითაც მოჭედილი იყო თამარ მეფის გვირგვინი და მრავალი ხატი გელათის ტაძარში...

დღეს-კი რასა ვხედავთ? ჩვენს ეკკლესიებს სძარცვავენ ჩვენნივე მოძმენი, შთამომავალნი იმ ხალხისა, რომელმაც თავისის სისხლით მორწყო ყოველი ადგილი თავისის ტურფა სამშობლოსი, რომ შეენახა იგი ჩვენთვის! ნუ-თუ ეს მოვლენა არ არის მომასწავებელი ჩვენის განადგურებისა ჩვენისავე საკუთარის ხელით? ნუ-თუ არ უნდა ჩავუფიქრდეთ, რა ღვთის წყრომამ მიგვიყვანა ასეთის უფსკრულის ნაპირამდე, სადაც ხალხს აღარ შერჩენია თავისი წმიდათა-წმიდა, სადაც იგი დაჰმგზავსებია პირუტყვს, რომელსაც არა აქვს არავითარი რწმენა!..

მართლაც, აბა მოიარეთ ჩვენი ქვეყანა კიდით-კიდემდე, თუ ჰნახოთ-ღა სადმე მღვდელი, რომელიც ასწავებდეს ხალხს ღვთის მცნებას შესახებ ძმათა სიყვარულისა, ადამიანობისა და ზნეობისა. აბა რომელ ეკკლესიაშიღა გაისმის მწყობრი გალობა ღვთის სიტყვისა, რომ ხალხი სასოებით უგდებდეს მას ყურსა და ატკბობდეს თვის სმენას ზეციურის ხმებით. რაკი ხალხს მოაკლდა ამ მხრივ ზნეობრივი საზრდო, რა თქმა უნდა, ჩაიშალა არსებული ერთობა ერსა და მღვდელს შორის, მოისპო მათ შორის ზნეობრივი კავშირი, ხალხი დაჰშორდა ღვთის სიტყვას და მისცა იგი დავიწყებას. ამას შედეგად მოჰყვა ჩვენი ზნეობრივი განადგურება, რომელიც ასე სასტიკად და საშიშრად გამოიხატა წმიდა ეკკლესიების ცარცვაში ქართველთა მიერვე.

აი საგანი, რომელმაც უნდა ძირიანად შესცვალოს ჩვენის ერისა და სამღვდელოების ურთიერთობა, რომ სამუდამოდ არ გადაგვარდეს ქართველი კაცი, საუკუნოებით განთქმული თავისის ქრისტიანობით და სარწმუნოების ერთგულობით.

⁂

თითქო ეს ზნეობრივი განადგურება საკმარისი არ ყოფილიყოს ჩვენთვის, რომ ამ ნაქებსა და ნადიდებ ხევსურებს ფიზიკური განადგურებაც არ დაემატებინათ ზედ. დალოცვილმა რაზიკაშვილებმა, ვაჟა-ფშაველამა და ბაჩანამ, თავიანთ აღფრთოვანებულის ლექსებითა თუ პროზით, ისე შეგვაყვარეს ფშავ-ხევსურნი; რომ სულ გოგოთური, აფშინა მინდოდაური და ალუდა ქეთელაური გვეგონებოდა ყოველ მათგანში. ხევსურის ხსენებაზედ თვალ-წინ წარმოგიდგებოდა მამულის მოყვარე ადამიანი მართალი, პატიოსანი, თანაც მიმზიდავი რაინდი და უშიშარი გმირი, რომელსაც პირზედ აწერია გოგოთურის სიტყვები:

თუ მაინც გიყვარს ხმლის ქნევა,
ქროლვა, ქორებელ ტევება,
მესამ წამომყე, გაჩვენო
მტერი საქლეტი ვეება;
დაგეცეს მარტოს ათასი,
გცემდნენ, მოგიგდონ შუაში,
მაჯა დნებოდეს შრომითა,
ხმალი ტყდებოდეს ყუაში.
გასძელი, სხვა ხმალ იშოვე,
მტერი დააფრთხე თხებურა,
მარტომ მისტიე მრავალსა,
პირ-ოფლიანმა მგლებურა.
მაშინის ვიტყვი—ღირსი ხარ
წელზე ხმლის, თავზე ქუდისა
და არ გეხურის ჩიქილა
თავზე დიაცის ცუდისა!

ნეტა ეხლა რაღას იტყვის ეს პატიოსანი გოგოთური, როდესაც შეიტყობს შატილელ-გუროელების ამბავს. შატილელ ხევსურებს გაურეკნიათ სამი სული საქონელი გუროელებისა. ამ უკანასკნელებს არც უციებიათ, არც უცხელებიათ, ჩამსხდარან თავით ფეხამდე იარაღში და გასულან საომრად...ურჯულოებთან-კი არა... შატილელ ხევსურებთან, თავიანთ ძმა-მეზობლებთან!.. უნახავთ ვაჟკაცებს „მტერი საქლეტი ვეება“ და ხელიც გამოუღიათ! თურმე „მაჯა დნებოდა შრომითა“, „ხმალიც ტყდებოდა ყუაში“ და ომის გათავებისას შეუმოწმებიათ, რომ შატილელთაგან მოკლული დარჩენილა ომის ველზედ ორი კაცი და მძიმედ დაჭრილი რვა კაცი, ხოლო გუროელთაგან შვიდი მოკლული და ხუთიც მძიმედ დაჭრილი.

მართალია, ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი ის იყო, რომ დღევანდლამდე ამ სოფლის მამულები გამიჯნული არ არის, თუმცა დავა მათ შორის 1862 წლიდგან სწარმოებს, მაინც ძალიან შორს წავალთ, თუ ხევსურების მაგალითს ავყვებით და სამ ძროხაში გავწირავთ ოც და სამის კაცის სიცოცხლეს...

ხანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარსეთის პარაშოკისაგან ბალღინჯოები.

„ცნობის ფურცლის“ რედაქცია, რომელიც აღებ-მიცემობაში სახელ-განთქმულია, აღტაცებაში მოსულა და „ივერიის“ რედაქციას მიჰმართავს, თქვენსა ხომ არ იყიდება ეს ფრიად საჭირო პარაშოკიო; ამასთან რედაქცია გვაცნობებს, რომ სტამბოლის ხვანთქრისაგან ამ პარაშოკების „ფოდრათი“ აუღიათ და ამ ფოდრათის შემწეობით „ცნ. ფ.“ რედაქცია ისეთს დიდს მოგებას მოელის, რომ ენკენისთვეში, როდესაც ქართველ გამომცემელთა ამხანაგობა შეიკრიბება, რედაქცია მოვალეებს სავსებით გაუსწორდება.

რა თქმა უნდა, ჩვენ დიდათ მოხარულნი ვართ, რომ ქართველებმა ისეთი აღებ-მიცემის შნოც გამოიჩინეს, რომ სტამბოლშიაც-კი „ფოდრათები“ აიღეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ პარაშოკების მოგონება ჩვენთვის პირველი გაგონებაა.

თუ ღმერთმა ბრძანა და „ცნობის ფურცლის“ ახალი ამბავი გამართლდა, უმორჩილესად ვთხოვთ „ცნ. ფ.“ რედაქციას, ორიოდე პარაშოკი „ფოდრათს“ გადაარჩინოს და ჩვენ გამოგვიგზავნოს, რადგანაც ეს პარაშოკი, როგორც „ცნ. ფ.“ აცხადებს, არამც მარტო სომხებზედ ჰმოქმედებს, თურმე ერთი მისხალი სამყოფია, რომ ერთიანად ამოჟლიტოს ის ქართველები, რომლებიც ტყუილად აჯგაბერობასა ჩემობენ.

⁂

გაზ. „კვალის“ მოზარემ, ბ-ნმა მოსაუბრემ, ხელ-ახლად დაგვიმტკიცა, რომ მარქსისა არა გაეგება-რა. ჩვენი თანამშრომელი ნინია გარეჯელი ამ ვაჟბატონს მარქსის თეორიაზე ელაპარაკებოდა და რადგანაც ბ-ნ მოსაუბრეს დღევანდლამდე ვერ გაუგია, ხურმა რა ხილია, მარქსის მაგივრად ტუგან-ბარანოვსკი წამოაყენა. დალოცვილს, თუ მარქსის სახარება სწამს, ტუგ. ბარანოვსკი ხომ სულ მეტი კუდია და ის არა სჯობდა, რომ მოკამათეს წინააღმდეგ თვით მარქსი წამოეყენებინა? ის არა სჯობდა, თვით მარქსის საპოლიტიკო ეკონომიის კრიტიკაზე (Zur Kritik dez politischen Oekonomic) მიეთითებინა? თუ ამ წიგნის ხელის ხლება ბ-ნ მოსაუბრეს ეძნელებოდა, შეეძლო მიემართა მარქსის მოკლე წინასიტყვაობისათვის, რომელიც დაბეჭდილია „კაპიტალის“ ყოველს ფარსაგ ფრანგულს გამოცემაში; ეს მაინც ნამდვილი მარქსი იქნებოდა და არა მისი კუდი.

ბ-ნს მოსაუბრესა ჰგონია, რაკი ოლარი ჩამოვიკიდე, უეჭველად მარქსის თეორიის მოძღვარი ვიქნებიო, მაგრამ ამაოდ!

წეირილი

რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მოგვცეთ საშუალება, გამოვაცხადოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში, რომ 148 №-ის „ივერიის“ ფოსტაში მოთავსებული ლექსი, მ. ჭ—ს მოწერილი, მე არ მეკუთვნის.

მ. ჭანიშვილი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

20 ივლისს.

კილი. ორშაბათს იმპერატორი ვილჰელმი გემით „ჰოჰენცოლერნ“-ით რეველს წავიდა. იმპერატორის ამალაშია: ობერ-ჰოფმარშალი გრაფი ეილენბურგი, უმთავრესი სახლის კომენდანტი პლესენი, გენერალ-ადიუტანტი შოლი, კაპიტნები უზედომი და გრუმე და ობერშტაბდოქტორი ილბერგი. იმპერატორს თან ახლავს იმპერიის კანცლერი, საზღვაო სამხედრო კაბინეტის უფროსი და საზღვაო აგენტი პეტერბურგისა. გემზე არის აგრეთვე პრინცი ფრიდრიხ-ჰენრიხი.

ბერლინი. რუსეთის ელჩი ჩარიკოვი დროებით დაეთხოვა სამსახურს; იმის დაბრუნებამდე თანამდებობას აასრულებს მანსუროვი.

პეტერბურგი. საპატიო „ოპეკუნებად“ დაინიშნენ; საიმპერატორო უმთავრესი სახლის კომენდანტი ბარონი მეიენდორფი და სიმბირსკის გუბერნატორი აკინფოვი. ებოძა შტალმეისტრობა საპატიო ოპეკუნს ტრუბნიკოვს. სამოქალაქო სამსახურის კომიტეტის გამგედ დამტკიცებულ იქმნა იუშკოვი. ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი გენერალი პეტროვი დროებით სამსახურს დაეთხოვა; დროებით იმის თანამდებობას ასრულებს იმის თანაშემწე დ. სტ. სოვ. სევასტიანოვი.

პარიჟი. გუშინ ხმა გავრცელდა, ვითომ რამბულიეში ლუბეს თოფი ესროლესო, მაგრამ ეს ხმა ტყუილი გამოდგა.

პეტერბურგი. 1896 წ. „ტორგ. პრომიშ. გაზეთის“ რედაქციამ გამოაცხადა, რომ გაზეთთან არსებულ ბიუროს შეეძლო მსურველთათვის ეგზავნა დეპეშით სავაჭრო ხასიათის ცნობანი. ახლა ამავე გაზეთთან დაარსდა „სავაჭრო-სამრეწველო სააგენტო“.

ვარშავა. ჩენსტოხოვსა და გერბს შუა ახლად გაკეთებულ ელექტრონის რკინის გზით მიმოსვლა მალე დაიწყება.

ბაქო. დღეს ცეცხლი გაუჩნდა „კასპ. ჩერნომ. საზოგადოების“ ნავთის სამრეწველოებს. აქედგან ცეცხლი გადავიდა კასპიის ამხანაგობის სამრეწველოზე. დაიწვა 30 კოშკი ნავთისა.

პარიჟი. „ფიგარო“-ში დაბეჭდილია ინდოეთ-ჩინეთში ახლად დანიშნულ გუბერნატორ ბოსთან ლაპარაკი. ბოს უთქვამს, არ ვიცი სასიამოვნო იქმნება თუ არა ინგლისის ვაჭრებისათვის საზღვაო ბაჟის მომატება 10—11%-თ. ახლაც უჩივიან იმ მომატებულ 5%, რომელსაც დიდის სამხედრო საზღაურის გადასახდელად უსამართლოდ იმათ კისრიდამ იღებენო. ჩინეთის საზოგადო მდგომარეობის შესახებ-კი ბომ სთქვა, რომ რამდენადაც-კი შესაძლებელია, ეს მდგომარეობა კარგია და რეორგანიზაციაც არ შეფერხებულაო.

პეკინი. ჩეილის სამხრეთ-ნაწილის წინამძღოლი ჩინტილინი შეიპყრო ხონტაუში გენერალმა ლიმ და სიკვდილით დასაჯა.

ლონდონი. შანჰაიდგან „ტაიმსს“ სწერენ, რომ ჩინეთის ჩრდილოეთის გზის პირობის შესახებ მიწერ-მოწერა იყო ინგლისის ელჩის სატოუსა და პრინც ჩინის შორის. ინგლისი დასთანხმდა წაიშალოს პირობის ის მუხლი, რომლის ძალითაც ერთი დირექტორთაგანი სამხედრო კაცი უნდა ყოფილიყო; ამაზე გერმანია და იაპონიაც უნდა დასთანხმდნენ, ხოლო ამის შემდეგ ყველა სახელმწიფოს თანხმობაა საჭირო გზის დასაბრუნებლად ჩინელებისათვის. ამისათვის შეუძლებელია დროს დანიშვნა, თუ როდის მოხდება ეს, მანამდეკი გზა დიდ კედლიდგან მოყოლებული ნიუჩვანამდე რუსეთის ზედამხედველობის ქვეშ იქმნება.

კანტონი. სეჩუანიდან შემდეგი ამბები მოდის: აქაურმა გენერალ-გუბერნატორმა მოითხოვა მდ. იანტსის ზემოთა ნაწილში მიმომავალი ინგლისისა და საფრანგეთის „კანონერკები“ (ნავები) დააბრუნონ ნაჩვენებ ნავთსადგურში ჩუნკინს. ამაზე ინგლისისა და საფრანგეთის მხრივ უარი მიიღეს. კიდევ მოდის ცნობები ჩინეთის ჯარისა და მეაბოხეთა შორის მომხდარ ბრძოლის შესახებ და ჩინეთის ქრისტეანთა დახოცვის თაობაზედ.

პეტერბურგი. საზღვაო მინისტრის მმართველი დღეს იყო არგენტინის სამხედრო გემზე „პრეზიდენტო სარმიენტო“-ზე.

დღეს იაპონიის პრინცი კომატცუ პეტერგოფში სადარბაზოდ იყო საიმპერატორო გვარეულობის წევრებთან.

21 ივლისი

ლონდონი. ოთხშაბათს მეფე ლონდონში მოვა.

რომი. ბერნში ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ იქ იტალიის ელჩად დაინიშნა ჰერცოგი ავარნი.

სოუტჰამპტონი. აქ მოვიდა შტეინი თავის ოჯახით. გზაზე შტეინი უკეთ შეიქნა.

სოუტჰამპტონი. პრეზიდენტად ნამყოფი შტეინი ერთის გემიდგან მეორეზედ საკაცით გადაიტანეს.

შტეინი ჰოლანდიაში წავიდა.

ვენა. აქ მოვიდნენ რუმინიის მეფე და დედოფალი. დედოფალი დღეს ნეივიდში გაემგზავრა; მეფე ხვალ იშლს მიდის იმპერატორის ფრანც-იოსების სანახავად.

ვენა. გრაფმა გოლუხოვსკიმ რუმინიის მეფესთან საათ-ნახევარი დაჰყო.

კონსტანტინეპოლი. ვალიების შემაერთებელ რუვიეს პროექტის შესახებ ბრძანება გამოცხადებულ იქმნა.

დიდი ვეზირი უკეთ გახდა და შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას.

ლონდონი. *) ბუენოს-აირესიდგან 3 (18) ივლისს „ტაიმსს“ ატყობინებენ, რომ პალატამ შეუცვლელად დაამტკიცა ჩილთან ხელშეკრულობა შესახებ სამედიატორო სასამართლოსი და საზღვაო ჯართა ოქმი.

22 ივლისი.

მოსკოვი. დღეს ყველა ტაძრებში და აგრეთვე იმ დაწესებულებაში, რომელიც ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორის ასულის მზრუნველობასა და მფარველობაშია გარდახდილ იქმნა პარაკლისი მისის უდიდებულესობის სადღეგრძელოდ.

კიევი. სამხრეთ-რუსეთის მეფუთკრეთა საზოგადოება შემოდგომაზე აარსებს მეფუთკრეობის სკოლას იმ აგარაკში, რომელიც სახელმწიფო ხაზინამ დაუთმო 20 ვერსის მანძილზე კიევიდამ.

ბელოსტოკი. დღეს „წითელი ჯვრის“ აქაურ კომიტეტისაგან დაწესდა დათა მოწყალებისათა საზოგადოება, რომელსაც თვისი მფარველობა აღუთქვა ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულმა. საზოგადოებასთან ამბულატორიაც იქმნება მისის უდიდებულესობის სახელობაზედ. ამის შესახებ კომიტეტმა აუწყა ხელმწიფე იმპერატორს და ავგუსტოესს მფარველს და მათ უდიდებულესობათა წინაშე გამოაცხადა თვისი უქვეშევრდომილესი გრძნობა კეთილ-მოწიწებისა და მადლობისა.

კილი. 7½ ს., რეველს მიმავლობისას, აქ მობრძანდა იმპერატორი „ჰოგენცოლერნით“, რომელსაც თან მოჰყვნენ გემები „პრინცი ჰენრიხ“ და „ნიმფა“-.

მარსელი. სამხედრო მინისტრმა პელტანმა წარმოსთქვა სიტყვა და ამტკიცებდა, მთავრობა რესპუბლიკელთა დასის პოლიტიკას უნდა დაადგეს. რეაქციის საწინააღმდეგოდ გაერთიანებულსა კლერიკალიზმი მუდმივი მტერიაო და ამ ბოლოს დროს ერთად-ერთ პატრიოტულ დასად მიაჩნია თავით ორატორი ასე ათავებს სიტყვას: „ჩვენ არ წავალთ კანოსაში და არ დავივიწყებთ, რომ ჩვენმა მამებმა რელიგიურ მოჩვენებათაგან იხსნეს ქვეყანა და მიანიჭეს კაცობრიობას თავისუფლება“.

პარიჟი. კონგრეგაციების სკოლათა გაუქმების გამო მოხდა მანიფესტაციები წინააღმდეგ მთავრობის კომისარებისა იზერისა, დუარისა, ტარნისა, ვოკლიუზისა და არდეშის დეპარტამენტებში და როანის მაზრის რამდენსამე საზოგადოებაში.

ჰააგა. დღეს აქ მოვიდა დუკა მეიერი.

კონსტანტინეპოლი. სომხის პატრიარქმა სამსახურიდგან გადადგომის ქაღალდი შეიტანა. პორტამ ყურადღება არ მიაქცია იმ საჩივრებს, რომელიც შეეხებოდა სომეხთა საწინააღმდეგოდ მთავრობისაგან გამოცემულ განკარგულებათ.

კონსტანტინეპოლი. დაინტერესებულთა შორის ამტკიცებენ, რომ ირადეს შესახებ ვალის გაერთიანების გეგმისა განსაკუთრებულ პირობას არ შეიცავსო. ამბობენ, რომ რუვიემ იკისრა შეაძლებინოს სესხის კონვერსია, რის გამოც ორი მილიონი გირვანქა დაიზოგება.

მიუნჰენი. ისპანიის ქვრივმა დედოფალმა თავის ასულით გზად გაიარა და ვენას წაბრძანდა.

23 ივლისი.

ლონდონი. დღეს მეფე სხვის დაუხმარებლად ავიდა და ჩამოვიდა იახტის კიბით.

ბელგრადი. სკუპშჩინამ პირველ კითხვაზედ მიიღო 15 ხმის უმეტესობით კანონპროექტი სესხის შესახებ.

ვენა. აქ მოვიდა ისპანიის დედოფალი თავის ქალით და დაუყონებლივ გაემგზავრა ბადენს.

იშლი. რუმინიის მეფეს გულითადად მიეგებნენ.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. ო'ფლინი შეეკითხა სამინისტროს: რუსეთისა და ავსტრიის მთავრობამ მოლაპარაკება გამართეს (?) რეფორმების შემოღების შესახებაო; მიემხრობა, თუ არა, ინგლისის მთავრობა რუსეთს და ავსტრიასაო? კრანბორნმა უპასუხა, მთავრობის ყურადღება მიქცეულია იმაზედ, რომ გააადვილოს რეფორმების შემოღება ოსმალეთის ევროპიულს ოლქებში. მთავრობა ყოველს შემთხვევაში ხელს შეუწყობს სხვა სახელმწიფოთა წინადადებასაო.

ადესა. დღეს დიდის ამბით დაიწყო მესამე სრულიად რუსეთის ოდონტოლოგიური (კბილის მკურნალობა) კრება. შეიკრიბა 312 წევრი. გაუგზავნეს დეპეშები ხელმწიფე იმპერატორს, ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულს და კრების საპატიო თავმჯდომარეს ოლდენბურგის პრინცსა. კრების თავმჯდომარედ აირჩიეს პროფ. ზავერჟკოვსკი; მის ამხანაგად რედაქტორი „Зубоврачебный Вѣстникъ“-ისა სინიცინი. დღეს კრების წევრნი ათვალიერებენ ადგილობრივ დაწესებულებათა. მოხსენებათა განხილვა ხვალ დაიწყება.

პეტერბურგი. 22 ივლისს ხელმწიფე იმპერატორი წაბრძანდა პეტერგოფიდგან საიმპერატორო იახტა „Штендартъ“-ზე საზღვაო მანევრებზე რეველში დასასწრებლად.

22 ივლისს ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის სახელწოდების დღეს და ათის წლის თავისა, რაც იგი დაინიშნა შეფად გვარდიის ეკიპაჟისა, დედოფლის სასახლის ფანჯრის წინ ამ ეკიპაჟის ხორომ შეასრულა სერენადა. ეკიპაჟის კამანდირმა კონტრ-ადმირალმა აბაზამ ეკიპაჟის სახელით მიართვა თაიგული და ქეტონი გვარდიის ეკიპაჟისა—კულმის ჯვარი ბრილიანტის გვირგვინით. დიდის სასახლის საყდარში გადახდილ იქმნა წირვა 11 სვათზე, რომელსაც დაესწრო ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, საბერძნეთის დედოფალი ოლგა კონსტანტინეს ასული შვილებითურთ ნიკოლოზ და ქრისტეფორეთი.

შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა გამოეცხადოს გაზეთს „Московскія Вѣдомости“-ს პირველი გაფრთხილება № 197-ში დაბეჭდილ მეთაურ წერილისათვის, რომელიც შეეხება საშუალო სკოლის რეფორმას.

მ. ა. ლადონტოვს (?) და გრაფს ვ. ვ. სტენბოკ-ფერმორს ნება მიეცათ რკინის გზის გაყვანისა და სარგებლობისა ნევიანსკ-ალაპაევსკ-ირბიტ-ტავრა, სიგრძით 316 ვერსტი, თანხა 22 მილიონია; ამათგან 16 მილიონ ნახევარი უზრუნველ ყოფილა 4%-იან ობლიგაციებით, კონცესიის ვადა 81 წელიწადია.

სახალინი. (გამოგზავნილია 5 ივლისს მიღებულია 23-ს). მიღებულია ცნობები, რომ ჩინეთისა და იაპონიის ნავთსადგურებიდგან არ შემოვიდეს ხოლერა, რომელიც იქ მძვინვარებს.

ამით ვამოწმებთ, რომ ზემოხსენებულის ლექსის ავტორი ბ-ნი მ. ჯანიშვილი არ არის.

რედ.

*) დაგვიანებულია ხელმეორედ შეკითხვის გამო.

პეტერბურგის ბირჟა, 19 ივლისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,15
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში ,,	46,27½
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	455 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	343 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	282 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	90½ გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ,, ,,	475 წვ. გაყ.
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	345 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	172 ,,

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სამოსამართლო პალატის 1-ლ დეპარტამენტში 30 ივლისისათვის დანიშნულია სამოქალაქო საქმეთა განხილვა:

1. ბართლომე ქუთათელაძისა და თავ. ივანე წულუკიძის დავა 100 მანეთ ზარალზედ.
2. არონ ჯიჯელხაშვილის და ზაქარია მინდიაშვილის ცხენის შესახებ 23 მანეთზედ.
3. ჩაქტო ანთიასი და კოსტა მესხის დავა 60 მანეთზედ.
4. ბახვა ჯანჯღავასი და პუპი მიქელაძის დავა 75 მანეთზედ.
5. ბახვა ჯანჯღავასი და ალექსანდრე ჩაჩიბაიას დავა თ. პუპი მიქელაძესთან ერთად და სხვ. 69 მან. 11 კაპეიკზედ.
6. ნიკოლოზ ზაალოვისა და მიხეილ ნონიევისა და სხვ. დავა 1063 მანეთზედ.

განცხადება

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ

კავკავის სკოლაში ორი თავისუფალი ადგილია მასწავლებლისა.

გალობა-სიმღერის ცოდნა სავალდებულოა. ვისაც სურს ხსენებულის ადგილების დაჭერა, მან უნდა წარმოუდგინოს საჭირო დოკუმენტები თხოვნასთან ერთად ან საზოგადოების გამგეობას, ან თვითონ კავკავის სკოლის გამგეს ბ. პართენ ალექსანდრეს ძე გოთუას.

საბუხგალტერო კლასები

დაარს. **ი. ი. ბრონ-ფ. ნ. ბრენნერის მიერ.**

შარშან **დაამთავრა** კურსი 106 შეგირდმა: 43 ქალმა და 63 ვაჟმა. კლასებთან არის **ბიბლიოთეკა, სასაქონლო-საცნობლო, მუზეუმი და ბიურო** პრაქტიკულ მუშაობათათვის.

წელს მოწვეულნი არიან ლექციების საკითხავად საუკეთესო სპეციალისტები, სახელდობრ: ინჟ. მ. ი. **ჩენგერი**, ინჟ. გ. ი. **დიუკოვი**, იურისტი ვ. ა. **მოსკალოვი**, დამსახ. პრ. **ლევიცკი**, მასწავლ. საშუალ. სასწავლ. ე. კ. **ლიოზენი**, ი. **ფ. გრუმლიკი**, ს. ე. **კოზლოვი** და სხ.

სავალდებულო საგნები კლასებში:

ბუხგალტერია, საბანკო საქმე, საკომერციო არითმეტიკა, არითმეტიკა საანგარიშოზედ, ტეხნოლოგია, სავაჭრო საქონლის მეტყველება, კორესპონდენცია, კალიგრაფია, ვაჭრობის ცოდნა, სავაჭრო კანონები და მსურველთათვის: უცხო ენები, სტენოგრაფია, ვარჯიშობა მწერალ მაშინაზედ.

კურს-დამთავრებულთ ეძლევათ **ატესტატები** და საუკეთესო შეგირდებს ეძლევათ **ადგილი სამსახურში.**

ფასი მთელის კურსისათვის 60 მან. კურსი თავდება 5-ს თვეში და სწავლა სწარმოებს ყოველ-საღამოს 5-დგან 8 საათამდე. მიიღებიან **ქალნიცა და ვაჟნიცა.**

პროგრამები და წეს-რიგი შეგირდად მიღებისა მსურველს შეუძლიან უსასყიდლოდ მიიღოს კლასების კანცელარიაში, ნიკოლოზის ქ., № 88, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 5-დგან 8 საათამდე.

სწავლა დაიწყება 10 სექტემბრიდგან. ვაკანსიების რიცხვი განსაზღვრულია. ორი **უსასყიდლო** ვაკანსია თავისუფალია.

დამაარსებელი კლასებისა **ი. ბრონ-ფონ-ბრენნერი.**

ადრესი: მიხეილის პროსპექტი, № 71. (15—390—1)

ფინანსთა სამინისტროს გამგეობაში მყოფი

საბუხგალტერო კურსები

ნ. ვ. აბრაამიანისა,

ავტორისა „სავაჭრო, საქარხნო და სანავთ-მრეწველო ბუხგალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილების მიერ ვითარცა ხელშემწყობი წიგნი საკომერციო სასწავლებლებში სასწავლებლად.

ასწავლის და ამზადებს

ორისავე სქესის ახალგაზდებს პრაქტიკის შემწეობით საბუხგალტერო მუშაობისათვის 4 თვეში, თან ბუღდავანობასაც კისრულობს და, როცა საჭიროა, რეკომენდაციასაც გაუწევს.

სწავლების საგნები:

1) **ორ-მაგი იტალიური ბუხგალტერია მრეწველობის ყოველ დარგისათვის, დაწმენდილის ნავთის საქარხნო წარმოებისა და ნავთმრეწველობის დარგის გამოუკლებლადაც-კი.** 2) **საკომერციო არითმეტიკა.** 3) **საკომერციო მიწერ-მოწერა** (**კორესპონდენცია**). 4) **საფექილო და სავაჭრო მართლიერება.** 5) **კალიგრაფია და გასწორება სულ ცუდის ხელისაც-კი წერაში.**

მოსწავლენი მიიღებიან ყოველ დღე. სწავლა დაიწყება და იწარმოებს 1902 წლის 15 სექტემბრიდან და ყოველ 4 თვეს შემდეგ კვლავ განახლდება, ყოველდღე, ნასადილევს. ფასი 60 მან. მთლად კურსისათვის. კურსის გათავებისას მოსწავლეს ეძლევა დაწესებული მოწმობა, ნება-დართული წესდებისამებრ ფინანსთა სამინისტროს მიერ. მსურველთ ვსთხოვ მიჰმართონ წერილით ანუ პირადათ კურსების დამაარსებელს ტფილისში, ნიკოლოზის ქუჩა, № 46. პროგრამა უსასყიდლოდ გაეგზავნებათ. ზემოხსენებული სახელმძღვანელო ისყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიებში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს, ფასდადებისათვის არაფერს იხდის. თითო ეგზემპლიარის ფასია 3 მან. 50 კაპ. (25—379—6)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 іюля 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.